1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. მარტის 11 № 9 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

43. საქართველოს სს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

44. სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ.
45. დაწესებულებათა და საწარმოთა თანამშრომლების ბინებში დადგმული ტელეფონების სასაფასურის ხელმწიფო სახსრებიდან გადახდის აკრძალვის შესახებ.
46. დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის ტრამვაის ბილეთების უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ.
47. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან სატყეო-საცდელი სადგურის მოწყობის შესახებ.
48. ამხ. ვ. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
49. ამხ. მ. ნ. ანანიევის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად დანიშვნის შესახებ.
50. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან საქ. სსრ სახკომსაბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის განთავისუფლების შესახებ.
51. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ.

[illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

43. საქართველოს სს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურის შესახებ.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში წყლის მეურნეობის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის ჩამოყალიბების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წ. 13 იანვრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 3, მუხ. 43) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

ხელმძღვანელობა

სახალხო კომისარი

სახალხო კომისრის მოადგილე (იგივე სახალხო კომისარიატის მთავარი ინჟინერი).

ოპერატიული სამმართველოები და განყოფილებანი

1) ექსპლოატაციის სამართველო შემდეგი განყოფილებებით:

პირველი ტერიტორიული განყოფილება,
მეორე ტერიტორიული განყოფილება,
მესამე ტერიტორიული განყოფილება,
მეოთხე ტერიტორიული განყოფილება,
საგეგმო-საალრიცხვო განყოფილება,
ინჟინერ-მექანიკოსი.

2) კაპიტალური მშენებლობის სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

საგეგმო-საალრიცხვო განყოფილება,
საწარმოო განყოფილება ტექნიკური ინსპექციითურთ,
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება.
დარგობრივ ინჟინერთა ჯგუფი,
მიწების მელიორატიული ათვისების განყოფილება.

3) წყლის საკოლმეურნეო მიწოდებისა და შიდასაკოლმეურნეო მელიორატიული მშენებლობის განყოფილება.

4) კადრების განყოფილება.

5) საგეგმო-საფინანსო განყოფილება.

6) ცენტრალური ბუხჰალტერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) სამხედრო განყოფილება სპეცნაწილითურთ.

8) საქმეთა მმართველობა

8) სახალხო კომისრის, მისი მოადგილისა და კოლეგიის სამდივნო.

ზემოაღნიშნული სამმართველოებისა და განყოფილებების გარდა, სახალხო კომისარიატთან მოეწყოს წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო.

2. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სახალხო კომისარიატთან მოეწყოს შემდეგი სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციები:

ა) დაპროექტებისა და საძიებელ სამუშაოთა კანტორა „წყალპროექტი";

ბ) მატერიალური მომარაგების კანტორა „წყალმშენმომარაგება", რომელსაც ექნება დამხმარე საწარმოები და ზუსტი ინსტრუმენტების სარემონტო სახელოსნო.

3. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი რესპუბლიკაში წარმოებული წყალთა მეურნეობის მთელი სამუშაოების ოპერატიული ხელმძღვანელობას ანხორციელებს შემდეგ ორგანიზაციათა მეშვეობით:

ა) აჭარის და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა;

სასისტემო საექსპლოატაციო სამმართველოებისა (ჯოლხიდის, ყარაიას);

გ) წყალთა მეურნეობის რაიონებისა (ქუთაისის, წულუკიძის, ზუგდიდის, აბაშის, მახარაძის, ხაშურის, გორის, კასპის, მცხეთის, თბილისის, საგარეჯოს, ალაზნის, ლაგოდეხის, თელავის, ლუქსემბურგის, ბორჩალოს, ახალციხის);

დ) სამშენებლო კანტორებისა იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმებით;

ე) სამანქანო-სამელიორაციო სადგურებისა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გადასცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს შემდეგი ორგანიზაციები:

ა) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველო მთელი სისტემითურთ;

ბ) საქსოფლმეურნმშენპროექტი;

გ) ფოთის ჰიდრო-მელიორატიული ტექნიკუმი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის შტატები ამ სტრუქტურის შესაბამისად.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გადასცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს 1941 წლისათვის გაცემული ასიგნობებითურთ ამიერკავკასიის წყალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც ქ. თბილისში იყოფება, და კოლხიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (სამელიორაციო).

7. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე „წყალპროექტის" მეშვეობით შეასრულოს სამიწათმოქმედო სისტემის საპროექტო-საძიებელი სამუშაოები;

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. თებერვლის 7 № 203.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

44. სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 27 იანვრის დადგენილებისა „1941 წელს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ და თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაწვეულ (მობილიზებულ) იქნან საქართველოს სსრ რაიონებიდან სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად 17 წლის ასაკის 300 კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდა მამრობითი სქესისა, აქედან: 1941 წლის 20 მარტიდან 5 აპრილამდე სწავლების პირველი რიგის 150 კაცი და 1941 წლის 5 ივლისიდან 20 ივლისამდე—სწავლების მეორე რიგის 150 კაცი.

2. დამტკიცდეს იმ კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის კონტინგენტის განაწილება, რომელიც გაწვეულ (მობილიზებულ) უნდა იქნას საქართველოს სსრ რაიონებიდან სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად შემდეგი წესით:

№№ რიგზე	რაიონები	მობილიზაციის წესით გასაწვევი კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის საერთო რაოდენობა	აქედან:	
			სწავლების პირველი რიგისათვის	სწავლების მეორე რიგისათვის
1.	ადიგენის	25	15	10
2.	ასპინძის	25	15	10
3.	ახალქალაქის	40	20	20
4.	ახალციხის	30	15	15
5.	ბაშკიჩეთის	30	15	15
6.	ბოგდანოვკის	30	10	20
7.	ბორჩალოს	35	20	15
8.	ყარაიას	15	10	5
9.	ლუქსემბურგის	35	15	20
10.	წალკის	35	15	20
	სულ . . .	300	150	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ დადგენილების მეორე პუნქტში:

ა) არაუგვიანეს 1941 წლის 20 თებერვლისა გაანაწილონ კოლმეურნე ახალგაზრდობის რიცხვიდან გასაწვევთა რაოდენობა კოლმეურნეობებს შორის;

ბ) სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევის ჩასატარებლად შექმნან რაიონებში კომისიები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის (კომისიის თავმჯდომარე), რაიონის პროფორგანიზაციის წარმომადგენლისა და საქ. ალკკ რაიონული კომიტეტის მდივნის შემადგენლობით;

გ) სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევა დაიწყონ პირველი რიგისათვის 1941 წლის 20 მარტიდან და დაამთავრონ არაუგვიანეს 5 აპრილისა, ხოლო მეორე რიგისათვის დაიწყონ 5 ივნისიდან და დაამთავრონ არაუგვიანეს 20 ივლისისა;

დ) უზრუნველჰყონ სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო საქარხნო სწავლების სკოლებში გასაწვევი ახალგაზრდობის მომარაგება კოლმეურნეობათა ხარჯზე, ზედა ტანისამოსით, ფეხსაცმელით, ორი წყვილი თეთრეულით, საკვები პროდუქტებით, რაც საჭირო იქნება გზაში დანიშნულების ადგილზე მისვლამდე, და დაუთმონ გაწვეულ ახალგაზრდობას გადასაყვანი საშუალებანი რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად.

4. დაევალოს რაიონულ კომისიებს უზრუნველჰყონ გასაწვევი კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის სათანადო სამედიცინო შემოწმება და თვითეულ გაწვეულს ხელზე მისცენ სამშენებლო მასალათა მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის საგზური სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმისა. საგზურს ხელს უნდა აწერდეს კომისიის თავმჯდომარე და დაკრული უნდა ჰქონდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭედი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სარ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 7. № 172.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. დაწესებულებათა და საწარმოთა თანამშრომლების ბინებში დადგმული ტელეფონების საფასურის სახელმწიფო სახსრებიდან გადახდის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ მთელი რიგი დაწესებულებანი და საწარმოები სახელმწიფო სახსრების ხარჯზე იხდიან იმ ტელეფონების საფასურს, რომლებიც დადგმულია თანამშრომელთა ბინებში. 1940 წელს სახელმწიფო სახსრებიდან გადახდილია 63.820 მანეთი, აქედან საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ—1.080 მანეთი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ 720 მანეთი, ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს მიერ—3.870 მანეთი, საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ—1.665 მანეთი, თელასის მიერ—2.295 მანეთი და სხვ.

იმ ტელეფონებს შორის რომელთა საფასურის გადახდა სახელმწიფოს ხარჯზე სწარმოებს, ირიცხება შემდეგ თანამდებობის პირთა ტელეფონები: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილებისა და სასოფლო ქსელის ჯგუფის განყოფილების უფროსისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის სამმართველოთა უფროსებისა, ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის და გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ მთავარი ბუხჰალტერისა, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნისა,—„ზარია-ვოსტოკას“ რედაქციის და გამომცემლობის განყოფილებათა გამგეებისა და სხვ.

სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია რა სახელმწიფო სახსრების ასეთი ხარჯვა, საქართვველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ბინებში დადგმული ტელეფონების საფასურის გადახდა სახელმწიფოს ხარჯზე.

2. წინადადება მიეცეს ავტონომიური სატელეფონო სადგურის უფროსს ამხ. ჯავახიშვილს 1941 წ. 1 თებერვლიდან დაწყებული ბინებში დადგმული ტელეფონების საფასური გადაახდევინოს იმ პირებს, რომელთა ბინებშიაც დადგმულია ეს ტელეფონები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 184.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის ტრამვაის ბილეთების უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრი საწარმო და დაწესებულება სახელმწიფო სახსრების ხარჯზე იძენს ტრამვაის წლიურ სამგზავრო ბილეთებს, რომლებსაც უფასოდ ურიგებს თავის მუშაკებს.

1940 წელს ტრამვაის ბილეთების შესაძენად დაწესებულებებმა და საწარმოებმა დახარჯეს 2.250.307 მანეთი, ხოლო 1941 წლის განვლილ თვეებში— 1.687.647 მანეთი, აქედან:

თბილისის საზკვების ტრესტმა თანამშრომლებს უფასოდ დაურიგა 10.996 მანეთის ტრამვაის უფასო ბილეთი, თელასმა—40.578 მანეთის ბილეთი, თბილისის წყალსადენის ტრესტმა—16.834 მანეთის, საქვაჭრობამ—8.360 მანეთის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა—7.177 მანეთის, თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილებამ—6.497 მანეთის ბილეთი და სხვ.

თბილისის წყალსადენის სამმართველოში უფასო ბილეთებით სარგებლობენ მთავარი ბუხჰალტერი, ლაბორატორიის გამგე, საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი, ქლორის სადგურის გამგე და წყალსაზომისა და მომარაგების განყოფილებათა გამგეები.

თბილისის საზკვების ტრესტში—დირექტორის მოადგილეები, მთავარი ინჟინერი, სპეცნაწილის გამგე, სასკოლო კვების, ღია და დახურული ქსელის განყოფილებათა გამგეები და სხვ.

საქვაჭრობაში—სამეურნეო ნაწილის გამგე, იურიუდიული ბიუროს გამგე, იურისკონსულტი, მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე, საგეგმო-ეკონომიური და სატრანსპორტო განყოფილებათა უფროსები და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგე, საქმეთა მმართველი, საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი, რექტორატის მდივანი, სპეცსექტორის გამგე, სამხედრო მაგიდის გამგე და სხვები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განყოფილებაში—განყოფილების გამგის მოადგილე, კადრების სექტორის, მასობრივი განათლების სექტორის, სკოლამდელი სწავლებისა და საფინანსო-საგეგმო სექტორების გამგეები, მთავარი ბუხჰალტერი და სხვები.

სთვლის რა, რომ თანამშრომელთათვის ტრამვაის ბილეთების უფასოდ დარიგების პრაქტიკა წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა სახელმწიფო სახსრების განიავებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელებს ტრამვაის ბილეთების შეძენა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე და უფასოდ დარიგება თანამშრომლებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულების ან საწარმოს თანამშრომელი, თავისი მუშაობის ხასიათის მიხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვით (ექსპედიტორი, შიკრიკი) მუდმივად უნდა დადიოდეს ქ. თბილისის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის დირექციას — ამხ. გოგაძეს;

ა) 1941 წლის 15 თებერვლიდან გააუქმოს ტრამვაის ყველა მუდმივი ბილეთი, რაც გაცემულია 1941 წლისათვის;

ბ) ცალკეულ მოქალაქეთა მიერ შეძენილი ტრამვაის მუდმივი ბილეთები შესცვალოს ახალი ნიმუშის მუდმივი ბილეთით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ ჩამოართვას თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხოს 1.500 მანეთი, რაც აღებულია ტრამვაის მუდმივ ბილეთებში, რომლებიც საწარმოებმა და დაწესებულებებმა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე შეიძინეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 185.
თბილისი.

---

47. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან სატყეო-საცდელი სადგურის მოწყობის შესახებ.

იმ მიზნით, რომ მეცნიერულად დამუშავდეს ტყისა და ტყის კულტურის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მოეწყოს სტაციონარული ცდები სატყეო მეურნეობის დარგში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს მოაწყოს სახალხო კომისარიატთან სატყეო-საცდელი სადგური.

2. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სატყეო საცდელ სადგურს დაეკისროს:

ა) სამეცნიერო-საკვლევო და საცდელი მუშაობის ჩატარება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობისა და ტყის კულტურების სახით;

ბ) საწარმოო საცდელი მუშაობის ჩატარება ტყის მავნებლებისა და სოკოთი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით.

3. დამტკიცდეს 1941 წლისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სატყეო-საცდელი სადგურის საშტატო ცხრილი 4 ერთეულის რაოდენობით და ხელფასის ფონდი 3100 მანეთი თვეში, თანახმად დანართისა № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინადადება, და დამტკიცდეს 1941 წლისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სატყეო-საცდელი სადგურის სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა თემატიკური გეგმა, თანახმად დანართისა № 2.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სატყეო-საცდელი სადგურის შესახებ.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად დააწესოს სატყეო-საცდელი სადგურის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის წყარო.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 192.
თბილისი.

---

48. ამხ. ვ. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვარდენ ალექსანდრეს-ძე წიკლაური საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 193.
თბილისი.

---

49. ამხ. მ. ნ. ანანიევის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე ანანიევი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 194.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან საქ. სსრ სახკომსაბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ვასილი დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობისაგან პარტიულ სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შესრულება დროებით დაეკისროს წარმომადგენლობის უფროს კონსულტანტს ამხ. დ. ზ. ქიტიაშვილს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 10. № 196.
თბილისი.

---

51. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ.

„მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოთა დაფინანსების წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 27 დეკემბრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 1, მუხ. 10) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1940 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დააფინანსოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესანახი ხარჯები—39,5 საშტატო ერთეული და თვიური ხელფასის ფონდი 23.770 მანეთი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 14. № 210.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 540. ტირაჟი 1.600.